



eDMS - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალისა და სესხის მართვის ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებულს. მისი მიზანია ერთ ადგილას მოუყაროს თავი სახელმწიფო სესხებზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება სანდო და სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება.

სისტემას გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები:

- სახელმწიფო ვალის ამორტიზაციის გრაფიკის შედგენა და მომსახურება;
- საინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი შეთანხმების აღრიცხვა და შესაბამისი დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში ატვირთვა;
- მოახლოებული გადახდის ელ. ფოსტით შეტყობინების ფუნქციონალი;
- ინტეგრაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან, რომლის ფარგლებში ავტომატურად ხდება ფასიან ქაღალდებზე გადასახდელი მოთხოვნების გენერირება.

სისტემის უპირატესობები :

- სისტემა შექმნილია მომხმარებლის შენიშვნების გათვალისწინებით, რაც განაპირობებს მოხმარების სიმარტივეს;
- ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის დახარჯული დროის მნიშვნელოვანი ეკონომია;
- მონაცემების არასწორად შეტანის ალბათობის შემცირება;
- სწორი გადაწყვეტილების დროულად მიღების ოპტიმიზაცია.

